განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
01/12/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
14/12/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მენეჯმენტის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №3. 09.01.2019

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ეკა ავსაჯანიშვილი - სსიპ - ივანე

ქვეყანა)	ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მორგოშია - შპს ,,მარჯი“, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“ ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ფოთში მდებარე საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე, რომელიც 1992 წლიდან ფუნქციონირებს. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N3 (09.01.2019 წ) გადაწყვეტილებით, გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობით. შესაბამისად დღეისათვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს და საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 ECTS კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS კრედიტი;
- კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ - 30 ECTS კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი 5 კრედიტის მოცულობით. სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას გადიან ქ. ფოთში ლოგისტიკის სფეროში ფუნქციონირებად წამყვან გადამზიდავ - სატრანსპორტო ფირმებში.

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გაწერილი აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის მრავლობითი ფორმები და მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პროფესორი - 3; ასოცირებული პროფესორი - 5; ასისტენტ პროფესორი - 4; მოწვეული სპეციალისტი - 8. თორმეტივე აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერისტეტთან, თანაფარდობით 12/8-სთან. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების შემდეგ პერსონალს კიდევ დაემატა 2 აკადემიური და 2 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 67%-ია, ხოლო მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად - 58%.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ადგილზე ვიზიტის გარეშე. თუმცა, ონლაინ განხორციელდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, კონკრეტული ინტერვიუების ჩატარება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდეტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ონლაინ ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით მოგვეცა საშუალება მიგვეღო სისტემური სურათი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობის შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის შეფასების პროცესში შეფასებული იქნა I, II, III, IV, V სტანდარტები. შესაბამისად დადგინდა რომ I, III, IV, V სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო II სტანდარტი მეტწილად არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. ამასთან 1.2, 2.3, 2.6 და 4.1 ქვესტანდარტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ცხადია, რომ პროგრამა საერთო ანგარიშით შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან და აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები;
2. რეკომენდებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
4. რეკომენდებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მენეჯერისათვის საჭირო ზოგადი სამართლებრივი საკითხების სწავლებისთვის;
2. სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (ბიზნესის საფუძვლები, ლიდერობა) სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება;
3. სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის (ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, სატრანსპორტო ლოჯისტიკა და სხვა.) სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შესასწავლი თემატიკის ჩაშლა კონკრეტული საკითხების დონეზე;
4. სასურველია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), მისი მნიშვნელობიდან და დატვირთვიდან გამომდინარე გაიზარდოს და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს მიეცეს მეტი დროის (ნაცვლად კვირაში მხოლოდ 4 საათისა) გატარების საშუალება;
5. სასურველია უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებთან მიმართებით გააქტიუროს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მექანიზმები;
6. სასურველია უნივერსიტეტმა ინტენსიურად მოახდინოს სტუდენტების სრული ინფორმირება ცოდნის შეფასებების გასაჩივრების უნივერსიტეტში არსებული პროცედურის შესახებ;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - უსდ-ს პერსონალისთვის შემუშავებული აქვს და სისტემაშია განთავსებული სამეცნიერო ბაზებში მუშაობის ვიდეო ინსტრუქცია, რომელსაც სამეცნიერო პერსონალი ინტენსიურად იყენებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N3 (09.01.2019 წ) გადაწყვეტილებით, შესაბამისად მოცემულ ეტაპზე პროგრამა წარმოდგენილია გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით, კერძოდ:

- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ახალი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ -ს მოთხოვნების შესაბამისად;
- დაიხვეწა ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, განახლდა გამოყენებული ლიტერატურა, დაზუსტა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები ისეთ საგნებში როგორიცაა: მათემატიკა ბიზნესისათვის 1 და მათემატიკა ბიზნესისათვის 2, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, პროექტების მართვა და ა.შ.
- პროგარამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „სამოქალაქო საზოგადოების როლი“ და „შესავალი ფსიქოლოგიაში“, შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსი მაგ. „საბანკო საქმის საფუძვლები“ შეიცვალა „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებით“ და ა.შ.
- პროგრამიდან ამოღებული იქნა კონცენტრაცია „მცირე ბიზნესის მართვა“;
- გაიზარდა თავისუფალი კომპონენტების არჩევითი კურსების რაოდენობა;

- პროგრამაში შენარჩუნდა მხოლოდ ერთი კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ (30 ECTS კრედიტი) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია „მოამზადოს მენეჯმენტის სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად განახორციელონ მმართველობითი, ოპერაციული, ფინანსური, საპროექტო, ინოვაციური, სტრატეგიული და სხვა მენეჯერული საქმიანობა ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებში; ასევე გადაჭრან ლოგისტიკის სფეროში წამოჭრილი პრობლემები საზღვაო ტრანსპორტთან მიმართებაში“. პროგრამის მიზანში გამოკვეთილია მენეჯმენტის ფუნქციონალურ სფეროებში პროგრამის კურსდამთავრებულის მიერ მისაღწევი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების ფართო სპექტრი, მათ შორის მმართველობითი, საპროექტო, ინოვაციური, სტრატეგიული, ფინანსური და სხვა მენეჯერული საქმიანობის მიმართულებების მიხედვით. პროგრამის მიზანი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და თანხვედრაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან - „უნივერსიტეტი, ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში“. აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამა ხელს უწყობს რეგიონის დონეზე ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან არამარტო ზოგადი მენეჯერული უნარებით, არამედ აქცენტები გაკეთებულია რეგიონული ბიზნესის განვითარებისათვის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა საზღვაო გადაზიდვები, ლოჯისტიკური პროცესები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები და ა.შ. გზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამა თავისი მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ ცოდნის შექმნის, დაგროვებისა და გავრცელების გზით საკუთარ წვლილი შეიტანოს

დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. შესაბამისად, პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მენეჯმენტი"; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ https://www.atsu.edu.ge/index.php/mission-geo - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერს იმ ცოდნას და უნარებს რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას, კერძოდ - საგანმანათლებლო

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა გაცნობიერება:

- განსაზღვრავს ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობის დაგეგმვის და ხელმძღვანელობის ასპექტებს მმართველობითი და ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ბიზნესის სფეროს განვითარების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით;
- აანალიზებს მენეჯმენტის სფეროს (ზოგადი მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ინოვაციური მენეჯმენტის, ლოგისტიკის, პროექტის მართვის, მარკეტინგისა და ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის, ლიდერობის) ძირითად კონცეფციებს, პრინციპებსა და მახასიათებლებს;
- ახდენს მენეჯერის ადექვატური მოქმედების მნიშვნელობის შეფასებას ახალ და ცვალებად ბიზნეს გარემოში დარგის სპეციფიკის და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით;
- აფასებს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებაში საზღვაო ნავსადგურების/ტრანსპორტის როლს და მნიშვნელობას, აანალიზებს ლოგისტიკისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მენეჯმენტის თავისებურებებს.

უნარი:

- სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოების საქმიანობის დაგეგმვა, მმართველობითი ფუნქციების განხორციელება და ეფექტურობის შეფასება, მართვის პროცესში წამოჭრილი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა;
- ბიზნესის გარემოს და ფირმის კონკურენტუნარიანობის შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ფორმირება ინფორმაციის დამუშავების სტანდარტული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- მმართველობითი მიზნებისათვის ფინანსური აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტირება, ფირმის მდგომარეობისა და საბოლოო შედეგების შეფასება და ამის საფუძველზე განვითრების ალტერნატიული გზების დასახვა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება;
- კონკრეტული პროექტების სახით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და ეფექტური პრეზენტაცია;
- ორგანიზაციის და ინსტიტუციების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების დამუშავების საფუძველზე საზღვაო სატრანსპორტო ფირმების პრობლემების - მმართველობითი, კომერციული, უსაფრთხოების და სხვა - იდენტიფიცირება და გადაჭრა.

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს, როგორც პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის ამსახველი რუკა, ისე პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკა. სადაც, ჩანს რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის შემადგენელი ზოგიერთი კომპონენტი (მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა) სამართლიანად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის ერთერთი შედეგის ,,ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის“ მიღწევას, რაც არ არის ასახული წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს შორის ჩანდეს გამოკვეთილი ბმა, რაც მოცემულ შემთხვევაში ბუნდოვანია, და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის ნაწილში საჭიროებს კორექტირებას.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი,

რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გამომდინარე აქედან პროგრამას თან ახლავს ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ და პროგრამის სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული შეფასებებით დგინდება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, გარდა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის ამსახველი რუკის, პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკისა, წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმის შეფასება. კურიკულუმის რუკის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მენეჯმენტის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის და კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გავიდნენ პროგრამის სწავლის შედეგებზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი მტკიცებულებად განიხილება მათი აკადემიური მოსწრება, კერძოდ, ქულები, რომლებსაც ისინი აგროვებენ შუალედური და დასკვნითი გამოცდებით, ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სასწავლო კურსის სილაბუსებშია გაწერილი. გარდა, ამისა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება არაპირდაპირი მეთოდებიც, კერძოდ, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის, დამსაქმებლების, სტუდენტების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. შესაბამისად, აღნიშნული შეფასებების შედეგად პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ დაიხვეწა ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, განახლდა გამოყენებული ლიტერატურა, დაზუსტა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები ისეთ საგნებში როგორიცაა: მათემატიკა ბიზნესისათვის 1 და მათემატიკა ბიზნესისათვის 2, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, პროექტების მართვა და ა.შ. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „სამოქალაქო საზოგადოების როლი“ და „შესავალი ფსიქოლოგიაში“, შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსი მაგ. „საბანკო საქმის საფუძვლები“ შეიცვალა „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებით“ და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მენეჯმენტი“; ○ პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი ინფორმაცია; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის,

რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; გარე და შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. აღსანისნავია, რომ 2020/2021 სასწავლო წლისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაწესებულებამ დაადგინა მინიმალური ზღვარი ყველა საგნისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა 25%-ზე მეტი, უცხოური ენა (გერ.; ინგლ.; რუს.; ფრან.) 24%-ზე მეტი, მათემატიკა 20%-ზე მეტი, ისტორია 25%-ზე მეტი), რამაც უნდა გაზარდოს მისაღები კონტიგენტის ხარისხი და ხელი შეუწყოს პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და ქვეყნდება ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის (NAEC) მიერ ყოველწლიურად განახლებად საინფორმაციო „ცნობარში აბიტურენტებისათვის“, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ინფორმაცია მიეწოდება ფაკულტეტის მიერ სოციალური ქსელისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღე, საინფორმაციო შეხვედრები საგანმანათლებლო სკოლებში სამომავლო პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, რითაც მოსწავლეები იღებენ პრაქტიკულ რჩევებს სწორი და გააზრებული არჩევანის გაკეთების მნიშვნელობაზე, რათა შემდგომში დასაქმდნენ და წარმატებული კარიერა გაიკეთონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა "მენეჯმენტი" შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49 (17/18)) შესაბამისად, მასში დაწვრილებით გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას.
მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. საბაკალავრო პროგრამში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციების გამომუშავება და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება ხდება პროგრამის შესაბამისი სტრუქტურის მიხედვით:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (140 ECTS კრედიტი);
- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები (25 ECTS კრედიტი);
- თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები (15 ECTS კრედიტი);
- თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები (30 ECTS კრედიტი);
- კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ (30 ECTS კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურის აგებისას დაცულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნები, კერძოდ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია არანაკლებ 120 კრედიტისა, ხოლო კონცენტრაციის სასწავლო კურსები - არაუმეტეს 30 კრედიტისა. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტებს აძლევს ფართო ცოდნას მენეჯმენტის სფეროს შესახებ და უყალიბებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს. „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ კონცენტრაციაში დაჯგუფებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტზე ფოკუსირებით და ამ სფეროში ცოდნის გაღრმავებისა და განმტკიცების შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს. თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა შეიძინოს მენეჯმენტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტისთვის აუცილებელი ცოდნა. გარდა, ამისა აღსანიშნავია, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებული იღებს მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაციას, კარგი იქნებოდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მენეჯერისათვის საჭირო ზოგადი სამართლებრივი საკითხების სწავლებასაც.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ, თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიიღება, რომელსაც პროგრამა ითვალისწინებს. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, სწავლება/სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის გზებს და შეფასების წესს, დასაქმების სფეროებს, აუცილებელ რესურსებს, დამხმარე პირობებს და პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „მენეჯმენტის ბაკალავრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში მეტი ყურადღება იქნეს დათმობილი მენეჯერისათვის საჭირო ზოგადი სამართლებრივი საკითხების სწავლებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, სწავლების საფეხური, სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, საათობრივად გაწერილი შინაარსობრივი გეგმა. სილაბუსის მეშვეობით სტუდენტი ღებულობს ინფორმაციას თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს, რომ შეძლოს გასვლა კურსის სწავლის სასურველ შედეგებზე. სწავლის შედეგები მიიღწევა ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად აღწერილი შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და რუბრიკების საშუალებით. თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ სასწავლო კურსები (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სილაბუსების და პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით უზრუნველყოფენ ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგებზე გასვლას, თუმცა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები ზოგადია და სილაბუსში გამოყენებული თემატიკის, სწავლა/სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით ბუნდოვანია როგორ ხდება მათი მიღწევა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ზემოთ წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების კორექტირება.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია კურსის შესწავლისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც დაფუძნებულია მენეჯმენტის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, ფაკულტეტის ბიბლიოთეკაშია განთავსებული ბეჭდური/ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია. ამასთან, კარგი იქნება პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსის (ბიზნესის საფუძვლები, ლიდერობა) სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება. ასევე, იმის გათვალისწინებით რომ საქმე გვაქვს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან, სასურველი იქნება ზოგიერთი სასწავლო კურსის (ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, სატრანსპორტო ლოჯისტიკა და სხვა.) სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შესასწავლი თემატიკის ჩაშლა კონკრეტული საკითხების დონეზე. გარდა, ამისა სასურველია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), მისი მნიშვნელობიდან და დატვირთვიდან გამომდინარე გაიზარდოს და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს მიეცეს მეტი დროის (ნაცვლად კვირაში მხოლოდ 4 საათისა) გატარების საშუალება. პროგრამის სტუდენტები შეუზღუდავად სარგებლობენ უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგით და ელექტრონული ბიბლიოთეკით http://elibrary.atsu.edu.ge/lms/. ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია გზამკვლევი ელექტრონული რესურსების მომხმარებლისათვის. https://library.atsu.edu.ge/guide.html. მენეჯმენტის პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსები და ამ

რესურსებზე სტუდენტების თავისუფალი წვდომა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსის (ბიზნესის საფუძვლები, ლიდერობა) სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება; ▪ სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის (ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, სატრანსპორტო ლოჯისტიკა და სხვა.) სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შესასწავლი თემატიკის ჩაშლა კონკრეტული საკითხების დონეზე; ▪ სასურველია პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობა (5 კრედიტი), მისი მნიშვნელობიდან და დატვირთვიდან გამომდინარე გაიზარდოს და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს მიეცეს მეტი დროის (ნაცვლად კვირაში მხოლოდ 4 საათისა) გატარების საშუალება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები მოიცავენ რეფერატის პრეზენტაციას, ასევე პროგრამაში წარმოდგენილი ცალკეული საგანმანათლებლო კურსი მოიცავს გარკვეულ პრაქტიკული დატვირთვას (კონკრეტული შემთხვევის ანალიზი), რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს/განავითაროს პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა. პრაქტიკის გავლა სტუდენტს შეუძლია რეგიონში არსებული წარმატებული კომპანიების ბაზაზე, რომლებთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება. პროფესიული პრაქტიკის გასავლელად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს. „კავტრექს ფოთი“, შპს. „ტრანს ალიანს ფოთი“, შპს. „ჯორჯიან ტრანს ექსედიცია-ფოთი“, შპს. „ლოჯისტექს“, შპს. „ესპერანსი“, შპს. „ლა-ტრანსი“. პროფესიული პრაქტიკა ხელს უწყობს მმართველობითი პროცესის რეალურ პირობებში გაცნობას, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებას და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. კვლევითი უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციებში, რომელიც ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება სტუდენტური დღეების ფარგლებში. ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: „აკადემიური წერა“, „სამოქალაქო საზოგადოების როლი“, „ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“. შესაბამისად, მენეჯმენტის პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები და საუნივერსიტეტო აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; ○ სტუდენტური კონფერენციების პროგრამები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის მრავლობითი ფორმები და მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისათვის ცოდნის გადაცემის საშუალებებია: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, კონსულტაცია, და სხვ. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლება/სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ), რომელიც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

პროგრამაში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №07/ნ (29.01.2016) ბრძანებას, შერჩეულია საბაკალავრო პროგრამის მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე, განსხვავებულია ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსის და მისაღწევი სწავლის შედეგების მიხედვით. სტუდენტები ონლაინ რეჟიმში შეუფერხებლად იღებენ სასწავლო მასალას ვიდეო ლექციების სახით და ელექტრონული ფორმით, ინარჩუნებენ ლექტორებთან კონტაქტს. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, გამოიყენება ონლაინ პლატფორმა - Microsoft teams. სტუდენტებს და აკადემიური პერსონალს მიეწოდებათ ვიდეო სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის მიერვე შექმნილ დახმარების პორტალზე - სტუდენტებისათვის www.online.atsu.ge; აკადემიური პერსონალისთვის www.online.atsu.ge/lector/.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007), №785 (21.09.2009), №07/ნ (29.01.2016) ბრძანებებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №5 (15.09. 2017) დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი - ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: ✓ სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში - 30 ქულა; ✓ შუალედური გამოცდა - 30 ქულა; კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სტანდარტულად არის წარმოდგენილი შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა 1 საათის მოცულობით, რაც ხშირ

შემთხვევაში, თავად მოცემულ კომპონენტებში გამოყენებული მეთოდოლოგიიდან (ღია, დახურული ტესტი, თეორიული საკითხი) გამომდინარე არასაკმარისია. აღნიშნული დეტალი გადამოწმებული იქნა სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებითაც და დადგინდა რომ 1 საათი უმეტეს შემთხვევაში არ არის საკმარისი შუალედური გამოცდისთვის. გამომდინარე, აქედან მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება თუ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტად იქნება მორგებული ამავე კურსის სპეციფიკას, მაგალითად, პროექტების მართვის სილაბუსში გამოყენებული პროექტის პრეზენტაცია წარმოდგენლია მხოლოდ 10 ქულიანი კომპონენტის ფარგლებში, ხოლო შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდგენილი ე.წ. ტესტური შეფასების მეთოდების გამოყენებით, რაც მიგვაჩნია რომ სასწავლო კურსის მიზნების და მოსალოდნელი სწავლის შედეგების გათვალისწინებით ნაკლებად მიზანშეწონილია. უნივერსიტეტში დანერგილია ცოდნის შეფასების შედეგების გამოქვეყნების ელექტრონული სისტემა, რომელთანაც სტუდენტს ინდივიდუალურად აქვს წვდომა, რაც უზრუნველყოფს მის კონფიდენციალურობას. ფაკულტეტზე მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://edean.atsu.edu.ge/dekanati/ ხელს უწყობს სწავლის პროცესის ადმინისტრირებას. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი პროფილი, სასწავლო ბარათი, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს, სილაბუსებსა და საგნების სწავლების სპეციფიკას (წინაპირობებიდან გამომდინარე), ასევე საშუალება ეძლევა ელექტრონულად აირჩიოს არჩევითი საგანი, დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი საგანი. აწსუ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულია გამოცდების აპელაციის წესი, თუმცა პროგრამის გასაუბრებაზე მყოფ არცერთ სტუდენტს მოცემული მექანიზმით არ ჯერჯერობით უსარგებლია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო გარემო საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე სტუდენტზე ორიენტირებულია. კამპუსში გამოყოფილია ყველა ის საჭირო სივრცე, რომელიც მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. პირველკურსელთათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სტუდენტთა საინფორმაციო შეხვედრებს აწყობს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელი და სტუდენტთა მხარდაჭერის და განვითარების სამსახურის სპეციალისტი. სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევას, კონსულტირებას და დახმარებას, სტუდენტთა მხარდაჭერის და განვითარების სამსახურის გარდა, უზრუნველყოფს ტუტორის ინსტიტუტი. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ სხვადასხვა ელექტრონული სერვისების გზით. კერძოდ კორპორაციული ელ.ფოსტის, Microsoft teams- ის და მობილური აპლიკაციის

ATSU NEWS მეშვეობით. ონლაინ სწავლება მიმდინარეობს Microsoft teams მეშვეობით, აქვე იტვირთება სალექციო კურსები, სახელმძღვანელოები და სასწავლო ფაილები. გარდა ამისა, კორპორაციული მეილის გამოყენებით სტუდენტებს წვდომა აქვს აწსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებზე. უშუალოდ სასწავლო შენობაში განთავსებულია ორი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზებით, მათ შორის ერთი განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის დაწყებისას Microsoft teams -ში თავსდება საკონსულტაციო საათების გრაფიკი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სათანადო კონსულატაციები ლექტორებისგან. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტში დანერგილია გამოცდების აპელაციის წესი. თუმცა, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს არ აქვთ ნათელი წარმოდგენა არსებული პროცედურის შესახებ და იშვიათად, ან საერთოდ არ იყენებენ მას.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე თავსდება ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტთა განვითარების და მხარდაჭერის სამსახური კორპორატიული მეილების გამოყენებით აწვდის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას. ასევე უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მონიტორინგს და არსებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. ტარდება ტრენინგები, რომლებიც სტუდენტების კარიერულ განვითარებას ემსახურება. სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის განხორციელება კიდევ უფრო ზრდის დასაქმების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტში ეწყობა დასაქმების ფორუმები, კონფერენციები და ტრენინგები, სტუდენტები ჩართულები არიან ადგილობრივ ღონისძიებებშიც. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამის შესახებ ინფორმაციას სტუდენტები კორპორატიული მეილების საშუალებით იღებენ, თუმცა ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტუდენტთა ინფორმირების და შესაბამისად ჩართულობის დონე დაბალია. უნივერსიტეტის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების მიზნით ტარდება გამოკითხვები, რომლებიც კონფიდენციალურია და სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა დააფიქსირონ მოსაზრებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ასევე უნივერსიტეტში ფუქციონირებს სტუდენტთა პროექტის წარდგენის კონკურსი „მე-უნივერსიტეტი“, თუმცა გამარჯვებული სამი პროექტი დაგეგმვის ეტაპზეა და ჯერ არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info;
- აწსუ ტუტორი https://atsu.edu.ge/index.php/tutoring-info;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტმა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებთან მიმართებით გააქტიუროს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მათი მონაწილეობის მექანიზმები; ▪ სასურველია უნივერსიტეტმა ინტენსიურად მოახდინოს სტუდენტების სრული ინფორმირება ცოდნის შეფასებების გასაჩივრების უნივერსიტეტში არსებული პროცედურის შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

1. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მენეჯმენტი" დაკომპლექტებულია გამოცდილი კადრებით, რომლებიც აქვთ შესბამისი კომპეტენცია ამასთანავე აკადემიური პერსონალის უმეტესობა ფლობს აკადემიურ ხარისხს, რაც დასტურდება შესაბამისი CV-ებით და თანდართული დოკუმენტებით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დასტურდება მათი აკადემიური ხარისხით და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო თემატიკა შესაბამისობაშია პროგრამის პროფილთან. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პროფესორი - 3; ასოცირებული პროფესორი - 5; ასისტენტ პროფესორი - 4; მოწვეული სპეციალისტი - 8. თანაფარდობით 12/8-სთან. თორმეტივე აკადემიური პერსონალი აფილირებულია

უნივერისტეტთან. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების შემდეგ პერსონალს კიდევ დაემატა 2 აკადემიური და 2 მოწვეული სპეციალისტი. პერსონალს აქვს პროფესიული გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო – კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას, აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამას ემსახურება 2 ადმინისტრაციული და 14 დამხმარე პერსონალი.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისთვის უსდ-ში გამოიყენება წარმომადგენლობითი საბჭოს #173 (28.02.2018) დადგენილება „აწსუ-ში პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. რომლის მიხედვითაც გაითვალისწინება ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა, ასოცირებული პროფესორის საშუალო კვირეული დატვირთვა. გარდა ამისა ცალკეული დეპარტამენტის მიხედვით იანგარიშება სტუდენტ-კრედიტის მაჩვენებელი. უსდ-ს ასევე შემუშავებული აქვს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები“ აკადემიური საბჭო, 10 ივლისი, 2019, დადგენილება № 65(18/19).
ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროგრამა 240 კრდიტიანია, რომელსაც ახორციელებს 20 აკადმიური და მოწვეული პერსონალი, გამოდის რომ 1 პირზე საშუალოდ 22 ECTS კრედიტი მოდის. ანუ პროგრამაში 1 პირი ასწავლის რამდენიმე საგანს (6-9 სასწავლო კურსი). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ რეკომენდებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ეს მაჩვენებლი ლექტორი/საგანთან მიმართებაში გრძელვადიან პერიოდში შემცირდეს.
აღსანიშნავია, რომ პროგრამას ყავს ორი დიდი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომლებსაც შესაბამისად გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დადასტურდა, პერსონალის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცით და ადგილზე ინტერვიუებით და გამოქვეყნებული ნაშრომებით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ განსახორციელებელ ფუნქციებს, რაც დასტურდება შესაბამისი რეზიუმეებით. პერსონალის მართვის და ადმინისტრირების დოკუმენტაცია წარმოდგენილია, რელევანტურია და ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. ადგილზეა და ეფექტურად ფუნციონირებს, ბიბლიოთეკა კომპიუტერული კლასები, სტუდენტური სერვისები, ხარისხის მართვის სამსახური, IT სამსახური და სხვა პროგრამის განხორიცელებისთვის აუცილებელი სტრუქტურები. აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი სისტემატურად ესწრებიან კვლაფიკაციის ამაღლების ტრენინგებს, აქვეყნებენ მეცნიერულ ნაშრომებს, მონაწილეობენ კონფერენციებში. აღნინულიდან გამომდინარე ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია შესაბამისია მოთხოვნებთან, თუმცა უნდა გადაიხედოს ერთი ლექტორის მიერ წაკითხული სასწავლო კურსების როდენობა, პროგრამასთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით;;
- პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების CV;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ყოველი წლის ბოლოს ანხორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო, მეთოდური ასევე სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ გააჩნიათ პრემიების და წახალისების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროექტის ხელმძღვანელი აწარმოებს სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებას, ფაკულტეტზე მოქმედებს „კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების საბჭო“ უნივერსიტეტში შემუშავებულია ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმი რაც საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და გამოცდილება სწავლების პროცესის თაობაზე. გამოყენებულია შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: აკადემიური

და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. გამოკითხვებიდან ჩანს რომ აკადემიური პერსონალის 68,9% აიმაღლა კვალიფიკაცია ბოლო 3 წლის მანძილზე და კვლავ აქტიურადაა დაინტერესებული კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებით, ასევე აკადემიური პერსონალის უმეტესი ნაწილი თვლის რომ ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება უცხო ენაში. უსდ-ს პერსონალისათვის შემუშავებული აქვს და სისტემაშია განთავსებული სამეცნიერო ბაზებში მუშაობის ვიდეო ინსტრუქცია, რომელსაც სამეცნიერო პერსონალი იყენებს ინტენსიურად. უნივერსიტეტში იგეგმება და ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციები, პერმანენტულად ხდება აკადემიური პერსონალის გადამზადება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული სწავლის შედეგების აღმწერთან, იმართება ტრენინგები და კონფერენციები, აკადემიური პერსონალი ღებულობს მონაწილეობას სამეცნიერო სემინარებში და ერთობლივ პროექტებში. ასევე მუდმივად ხდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, თუმცა გამოკითხვებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია აწსუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით და საერთაშორისო კვლევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): უსდ-ს პერსონალისათვის შემუშავებული აქვს და სისტემაშია განთავსებული სამეცნიერო ბაზებში მუშაობის ვიდეო ინსტრუქცია, რომელსაც სამეცნიერო პერსონალი იყენებს ინტენსიურად.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან აწსუ-ში ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ფიზიკურად ვერ მოხერხდა ინფრასტრუქტურის და ტექნიკური აღჭურვილობის დათვალიერება თუმცა ონლაინ მოხდა გასაუბრება აწსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორთან, ასევე მოხდა ონლაინ ჩართვა ფოთის ფილიალის წარმომადგენელთან და კამერის საშუალებით მოხდა ბიბლიოთეკის და ერთერთი აუდიტორიის კომპიუტერული კლასის დათვალიერება. სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან, მათ შეუძლიათ დისტანციურად გაიარონ ავტორიზაცია. ჩართულია ონლაინ-კატალოგის (OPAC) სისტემა, აქვთ ორ ენოვანი ვებგვერდი და სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. პროფესორ-მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერნეტ-რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საერთაშორისო ელ. ბაზები
- ელექტრონული სასწავლო ბაზა;
- მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მოცემულია უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში. სადაც განსაზღვრულია ფინანსური უზრუნველყოფის 2 კომპონენტი, სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინებით, სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში განისაზღვრა 20 სტუდენტი. ხარჯვითი ნაწილის მთლიანი მოცულობა დაბალანსებულია იმ სავარაუდო შემოსავლით რომელსაც ღებულობს უნივერსიტეტი მთელი წლის მანძილზე, მიღებული სტუდენტების რაოდენობა საკმარისია ფინანსურად პროგრამის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ნაკლები სტუდენტის მიღების შემთხვევაში კი ხორციელდება დაფინანსება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ფარგლებში. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება, გადასახადების, კომუნალურის, სტიპენდიების, ინფრა სტრუქტურის და სხვა ხარჯები. ხარჯებში გათვალისწინებულია რისკის დაზღვევა რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯის 10 პროცენტს. ბიუჯეტში მოცემულია ცვლადი პარამეტრები რომლებიც ზუსტდება ყოველი პროგრამის მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“, რომელიც რეგულირდება შესაბამისი დებულებით. უსდ-ს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა“, რომელიც იყენებს სისტემას „დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“ ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისთვის უსდ-ში ხორციელდება, სტუდენტის, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ანალიზი; კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი; და ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2015-2019 წლების განმავლობაში დებულების შესაბამისად განხორციელდა პროგრამის შეფასება და ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით, რომლებიცაა: პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი; პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის პროგრესია; პროგრამაში ჩართული აკადემიური და

მოწვეული პერსონალის თანაფარდობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; ასევე პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები: პროგრამის გარე შეფასების (აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები; პროგრამის შიდა შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვები, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ურთიერთდასწრების ანალიზი) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები; პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მაჩვენებელი; პროგრამის SWOT ანალიზი და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს მონაწილეობას პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოკითხვებში. პროგრამის პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება-მოდიფიცირებას, რაც ასევე ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და აკრედიტაციის კუთხით, მოხდა „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმიზაცია პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მოდიფიცირება განიცადა პროგრამის სტრუქტურამ და სილაბუსებმა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო გუნდში ჩართული იყო, როგორც აკადემიური ასევე ადმინისტრაციული პერსონალი და მათ გადანაწილებული ქონდათ შესაბამისი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. შესაბამისად, ანგარიშის მომზადების პროცესში გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლის დახვეწასა და განვითარებაზეც პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გამოხატავს სრულ მზაობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტებმა იციან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა რგოლის მონიტორინგისა და უკუკავშირის მიღების ფორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 09.02.2018 https://atsu.edu.ge/quality/QA-Conception.pdf ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სისტემა/ხარისხის პოლიტიკა და პროცედურები“ https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa?id=559; ○ საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა ასევე გარე). განხორციელებული შეფასების შედეგები;;

- ფაკულტეტის სიახლეები https://atsu.edu.ge/index.php/sazgvao-news;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას "მენეჯმენტი" აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N3 (09.01.2019 წ.), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, რომელიც როგორც ხარისხის გარე შეფასება, საფუძვლად დაედო პროგრამის დღევანდელი სახით მოდიფიცირებას. შეიცვალა რამდენიმე საგნის დასახელება, შინაარსი, განახლდა ლიტერატურა, დაზუსტდა მობილობისა და ჩარიცხვის წინაპირობები და სხვ. ასევე, განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე პროგრამის სტრუქტურამ მიიღო შემდეგი სახე: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები -140 ECTS კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS კრედიტი; თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი; თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS კრედიტი და კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი" - 30 ECTS კრედიტი. პროგრამიდან ამოღებული იქნა კონცენტრაცია „მცირე ბიზნესის მართვა". შესაბამისად გაიზარდა თავისუფალი კომპონენტების არჩევითი კურსების რაოდენობა. შენარჩუნდა მხოლოდ ერთი კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი" (30 ECTS კრედიტი) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რაც რეკომენდაციის სახით მოცემული იყო აკრედიტაციის ჯგუფის დასკვნაშიც.

პროგრამის გარე ხარისხის შეფასების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებმა ხელი შეუწყო პროგრამის სტრუქტურის გაუმჯობესებას, სასწავლო კურსების შინაარსის სრულყოფას და სწავლის შედეგების ორიენტირებას მენეჯმენტის დარგის განვითარებაზე. უსდ-ს პროგრამას გაეცნენ ასევე დამსაქმებლები. შესაბამისად, ინტერვიუების დროს მათ გაიხსენეს კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები და გამოთქვეს უნივერსიტეტთან მომავალში თანამშრომლობის სურვილიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს აქვს შემუშავებული შიდა და გარე ხარისხის შეფასების პროცედურა და რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის წარდგენით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც "მენეჯმენტი" გამოიყენება აღნიშნული პროცედურა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებლი, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები და

განხორციელებული ცვლილებები, შესაბამისი ღონისძიებები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, პრაქტიკა და სხვა აქტივობები. მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულია მრავალფეროვნი აქტივობები, რომლის დამადასტურებელი დოკუმნეტაცია თან ერთვის პროგრამას და თვიშეფასების ანგარიშს. ამასთანავე, ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დადასტურდა, რომ ყოველივე რეალურად ხორციელდება და არ აქვს ხელოვნური ხასიათი. უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის იყენებენ კოლეგიალურ დასწრებას, სტუდენტების ელექტრონულ კითხვარებს. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ანგარიშს ხარისხის მართვის სამსახურს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობას იღებს აწსუ-ს ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სხვადასხვა სამსახურები, სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე და ადგილზე განხორციელებული ინტერვიუებიდან მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესი ხორციელდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები და ღონისძიებები უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ○ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 09.02.2018 https://atsu.edu.ge/quality/QA-Conception.pdf ○ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სისტემა/ხარისხის პოლიტიკა და პროცედურები“ https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa?id=559; ○ საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა ასევე გარე). განხორციელებული შეფასების შედეგები;; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის პტენციურ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება: √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
3. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე

ეკა ავსაჯანიშვილი

მაია მორგოშია